ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230612195**
თარიღი: **02/03/2023**

ადრესატი: ლუკა ჩაგანავა
პირადი ნომერი: 01017043074
მისამართი: თბილისი ხარლამპ სავანელის ქ. N 18

ბატონო ლუკა,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2023 წლის 1-ლი მარტის №01230603036-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2023 წლის 1-ლი მარტის №01230603036-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.10.13.016.164) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/SYUi6OmupL5Tqjb

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 3 23 00614318

02/03/2023

მოქ. ლ. ჩაგანავას
თბილისი ხ. სავანელის ქ. N 18;
თქვენს 2023 წლის 2 მარტის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზა ს/კ 01.10.13.016.164-ის მიმდებარედ სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობას (წერილის ნომერი 02/03/2023 16-01230612195), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით



დანართი 2. საჭვიმაო ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი

საკვლევი არეალი
საკვლევი ქუჩა
გზა/ქუჩა
საკვლევი განერებები
M მეტროსადგური

Scale 1:1,909

Coordinate System:
WGS 1984 UTM Zone 38N
EPSG: 32638

N
W
E
S

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230933758**
თარიღი: **03/04/2023**

ადრესატი: ლუკა ჩაგანავა
პირადი ნომერი: 01017043074
მისამართი: სავანელის 18

მოქალაქე ლუკა ჩაგანავას

ბატონო ლუკა,

2023 წლის 29 მარტის N 19/01230882797-16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N8-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.10.10.023.069), გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.19.32.001.132), ვაჟა-ფშაველას გამზირი N29-ში (ს/კ: 01.10.15.007.123) და გიორგი სააკაძის II გასასვლელი N19-ში (ს/კ: 01.10.13.016.164) მდებარე მიწის ნაკვეთებზე არქიტექტურული პროექტების შეთანხმებისათვის სატრანსპორტო კვლევის არეალის განსაზღვრის მოთხოვნას, გაცნობებთ:

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას წარმოსადგენია:

- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა
- ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა შეთანხმდეს **სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა** და **საპატრულო პოლიციასთან**. სააგენტოში შეთანხმების შემდეგ სქემა უნდა შეთანხმდეს საპატრულო პოლიციასთან. ამის შემდეგ, შეთანხმებული სქემა უნდა აიტვირთოს სხვა დოკუმენტაციასთან ერთად არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე.

იმისათვის, რომ სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემასთან დაკავშირებით დააფიქსიროს პოზიცია, საჭიროა განაცხადი აიტვირთოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით, პორტალზე **www.letters.ms.gov.ge** შესაბამის ნომენკლატურაში. გაცნობებთ, რომ **2021 წლის 1-ლი აგვისტოდან სააგენტო განიხილავს მხოლოდ პორტალის საშუალებით დაფიქსირებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების განაცხადს.**

იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მუალედური პასუხი.

იმ შემთხვევაში, თუ განსახილველ მიწის ნაკვეთთან მისასვლელი პოტენციური გზის მონაკვეთი მოიცავს სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების ტერიტორიას, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების მესაკუთრეთა თანხმობა.

იმ შემთხვევაში, თუ პოტენციურ გზაზე ხვდება არსებული ხე-მცენარეები, წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანხმობა გზის მოწყობასთან დაკავშირებით.

განმცხადებლის მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული უნდა იყოს **2.5 მეტრი** სიგანის ტროტუარები.

ასპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა უნდა აიტვირთოს არქიტექტურის სამსახურის
ერდზე, რის შემდგომაც გადაეგზავნება განსახილველად სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული
თარების სააგენტოს.

სპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევის **განახლებული** კომპონენტები და საკვლევი არეალები
მულია დანართების სახით.

ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 10.10.023.069) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სააგენტო საკვლევი არეალისა და კომპონენტების განსაზღვრის თაობაზე იმსჯელებს აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ სებულ მიწის ნაკვეთებთან ერთად, ტერიტორიაზე, რომელზეც სააგენტოს N 01230453241 4.02.2023) წერილის შესაბამისად, დამტკიცებულია სპეციალური ზონალური შეთანხმება.

საბამისად, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე, ამ ეტაპზე, სააგენტო საკვლევ არეალსა და კომპონენტებს არ განსაზღვრავს.

არდაბნის გზატკ. დანართი 1: 3 (სამი) ფურცელი.
არდაბნის გზატკ. დანართი 2: 1 (ერთი) ფურცელი.

ვაჟა-ფშაველა დანართი 1: 3 (სამი) ფურცელი.
ვაჟა-ფშაველა დანართი 2: 1 (ერთი) ფურცელი.

გ.სააკაძე დანართი 1: 3 (სამი) ფურცელი.
გ.სააკაძე დანართი 2: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე (სატრანსპორტო კვლევა) უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:


	კომპონენტი ↓	მითითება ↓	განმარტება/ რეკომენდაცია ↓
0	*თავფურცელი, შესავალი, ინფორმაცია*		
0.1	თავფურცელი	თავფურცელზე დატანილ იქნას შემდეგი ინფორმაცია: 1. საპროექტო ტერიტორიის მისამართი და საკადასტრო კოდ(ებ)ი 2. საპროექტო ობიექტის ვიზუალი ან/და რაიმე საპროექტო ესკიზი 3. კვლევის შესრულების თარიღი	
0.2	კვლევის დავალების წერილი	წარმოდგენილ იქნას სსიპ- ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი, რის საფუძველზეც მომზადდა სატრანსპორტო კვლევა	
0.3	სარჩევი	შესაბამისად დაინომროს გვერდები	
0.4	საპროექტო ტერიტორიის ლოკაცია და საკვლევი არეალის რუკა	რუკაზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: 1.საპროექტო ტერიტორია 2. საკვლევი არეალი 3. უახლოესი საზ. ტრანსპორტის გაჩერების ან/და მეტროს ლოკაცია(ები) 4. მიმდებარე გზების/ქუჩების სახელწოდებები	
1	საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა		
1.1	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია	მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს რუკის სახით შესრულებული ArcGIS-ის ArcMap პროგრამაში ძირითადი მონაცემების ჩამონათვალი, რაც რუკაზე უნდა იყოს დატანილი: 1). საფეხმავლო გზა/ტროტუარი (არის, არ არის, არის ბარიერებით) 2). საქვეითე გადასასვლელი (არის_შუქნიშნით რეგულირებული, არის_არარეგულირებული, რეკომენდებულია მოწყობა, არის მაგრამ განსაახლებელია/სარეაბილიტაციოა, წაშლილია მონიშვნა) 3). ბარიერები ტროტუარზე (მუდმივი, დროებითი) 4). არსებული მიწისზედა, მიწისქვეშა საქვეითე გადასასვლელი 5). საუბნო ფუნქციები (სკოლა, ბაღი, სკვერი, პარკი, სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, აუზი, სასურსათო მაღაზია, სავაჭრო ცენტრი, აფთიაქი, საავადმყოფო, ბანკი და სხვა.) 6). საპროექტო ტერიტორია 7). საპროექტო ტერიტორიაზე მთავარი შესასვლელ-გამოსასვლელ(ებ)ი (სამანქანო) 8). საზ.ტრანსპორტის გაჩერების ლოკაცია(ები) 9). მეტროს ამოსასვლელ(ებ)ი	იხილეთ რუკის შაბლონი შემდეგ ბმულზე: https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/iB4SweUo9ae1rZm საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): ტროტუარის არსებობა, ბარიერები ტროტუარზე. უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა. ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი. საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.

1.2	ინვენტარიზაციის რუკის სამუშაო მასალა (დამოუკიდებელი ფაილი)	წარმოდგენილი უნდა იყოს დამოუკიდებელი ფაილის სახით (.zip, .rar არქივი), სადაც დაარქივებული იქნება "GIS" პროგრამის სამუშაო, ცოცხალი მასალა ქვემოთ მოცემულია შაბლონი, სადაც მომზადებულია საჭირო ფენები შესაბამისი დასახელებითა და ფორმატით, ასევე, ატრიბუტული ცხრილი შესაბამისი განმარტებითი ველებით: https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/DunLY0kDNHgcike აღნიშნული შაბლონის გამოყენებით მომზადდეს საკვლევ არეალზე ზემოხსენებული ინვენტარიზაციის რუკა. ასევე სამუშაო მასალაც დაგენერირდეს აღნიშნული შაბლონის გამოყენებით მომზადებული რუკიდან	რუკის მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს ArcGIS-ის ArcMap დოკუმენტის სახით. GIS .shp ფაილები შესაბამისი დასახელებით და ფორმატით (წერტილოვანი, ხაზოვანი) ასევე ატრიბუტული ცხრილი განმარტებითი ველებით. საფეხმავლო ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციის რუკის ფაილები (.shp) უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: ტროტუარის უწყვეტობისა და ხარისხის შეფასება (საფარის მდგომარეობა, დაბრკოლებების არსებობა (ბარიერის სახეობები, მაგ. პარკირება, ბოძი, ხე და სხვა) ასევე საქვეითე გადასასვლელების მდებარეობა და სახეობა.
1.3	ბარიერების აღწერა	ზემოთ აღწერილი გადაადგილებების ხელისშემშლელი, შემაფერხებელი გარემოებების/ბარიერების აღწერა: ტექსტური ნაწილი(ჩამონათვალი) და ფაქტობრივი მდგომარეობის/ბარიერის ფოტოფიქსაცია	რეკომენდებულია მომზადდეს ბარიერების აღწერის რუკა, სადაც მონიშნული იქნება აღწერილი ბარიერები შესაბამისი ნუმერაციით და დატანილი იქნება ფოტოფიქსაციის ლოკაციები იხილეთ მაგალითი შემდეგ ბმულზე: https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/5KWja9K6mRCiqms ბარიერების ჩამონათვალი საორიენტაციოდ: შენობა, ხე, ბოძი, დახიანებული ზედაპირი, სანაგვე ურნა, გადახდის აპარატი, არარეგულირებული პარკირება და სხვა
1.4	საქვეითე მისაწვდომობა საუბნო ფუნქციებამდე	წარმოდგენილი უნდა იყოს რუკის სახით, სადაც მონიშნული იქნება საპროექტო ტერიტორიიდან საფეხმავლო მისაწვდომობის ფარგლებში საუბნო ფუნქციები _ საყოფაცხოვრებო ობიექტების ლოკაციები და მითითებული იქნება თითოეულ ლოკაციამდე მანძილი, ათვლილი საპროექტო ტერიტორიის არსებული/საპროექტო გამოსასვლელიდან	საუბნო ფუნქციების ჩამონათვალი: 1.საგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა, ბაღი...) 2.სარეკრეაციო ობიექტი (სკვერი, პარკი) 3.სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტი (სპორტული მოედანი, სატრენაჟორო დარბაზი, აუზი) 4.სავაჭრო ობიექტი (სასურსათო მაღაზია, სავაჭრო ცენტრი) 5.სამედიცინო დანიშნულების ობიექტი (აფთიაქი, საავადმყოფო...) და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტები
1.5	საკვლევი ქუჩ(ებ)ის, გზის მონაკვეთების მონაცემები	წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით მონაცემების ჩამონათვალი: 1.ქუჩის სრული სიგრძე 2.ქუჩის საშუალო სიგანე (მინ.-მაქს. სიგანე) 3.სამანქანო მოძრაობის მიმართულება 4.ზოლების რაოდენობა 5.რეგულირებადი სიჩქარე 6.ტროტუარის არსებობა 7. ტროტუარის საშუალო სიგანე ... და სხვა	იხილეთ მაგალითი შემდეგ ბმულზე: https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/ixVVWpV9lXmFJb8

1.6	საკვლევი ქუჩ(ებ)ის, გზის მონაკვეთების ჭრილი	წარმოდგენილი უნდა იყოს ესკიზის სახით ზომებისა და ნიშნულების მითითებით ასევე, ჭრილის ხაზ(ებ)ი (კვეთის ლოკაცია(ები)) დატანილ იქნას რუკაზე (ორთოფოტო ან ინვენტარიზაციის რუკა), რათა ნათლად იყოს აღსაქმელი მომზადებული ჭრილის მდებარეობა. ერთზე მეტი ჭრილის ესკიზის მომზადების შემთხვევაში, რუკაზე ჭრილის ხაზები შესაბამისად დაინომროს. რაოდენობა დამოკიდებულია საკვლევი ქუჩების რაოდენობასა და ქუჩის დამახასიათებელი პარამეტრების (მახასიათებლების) ცვლილებაზე	იხილეთ მაგალითი შემდეგ ბმულზე: https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/yXVYJfSK5zeSlpD
2	საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესწავლა		
2.1	საქვეითე მისაწვდომობა საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე	წარმოდგენილი უნდა იყოს რუკის სახით, სადაც მონიშნული იქნება საპროექტო ტერიტორიიდან საფეხმავლო მისაწვდომობის ფარგლებში, საკვლევი ან/და უახლოესი საზ. ტრანსპორტის გაჩერების ლოკაციები (ჟ. შარტავას ქუჩა) და მიეთითოს თითოეულ ლოკაციამდე მანძილი ათვლილი საპროექტო ტერიტორიის არსებული/საპროექტო გამოსასვლელიდან, ასევე მონიშნულ იქნას საქვეითე გადაადგილების მარშრუტი საპროექტო ტერიტორიიდან საზ. ტრანსპორტის უახლოეს გაჩერებ(ებ)ამდე ან/და მეტრომდე საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით.	იხილეთ რუკის შაბლონი შემდეგ ბმულზე: https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/sOd5r2haGRfKbMq საქვეითე ინფრასქტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი არეალის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე ან/და მეტრომდე მისასვლელი მანძილი და საორიენტაციო დრო, საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით.
2.2	საზ. ტრანსპორტის სივრცითი დაფარვა	რუკის სახით წარმოდგენილ იქნას გამოკვლეულ გაჩერებებზე მოძრავი საზ. ტრანსპორტის სივრცითი დაფარვის რუკა ქალაქის მაშტაბით, მარშრუტის ნომრის მითითებითა და რუკაზე სამარშრუტო ხაზის დატანით	აღნიშნული მასალა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თუ რა სივრცის დაფარვას შეძლებს საზ. ტრანსპორტის მომხმარებელი გამოკვლეული გაჩერებიდან გადაჯდომების გარეშე
3	ინფორმაცია პროექტზე		
3.1	დაგეგმილი პროექტის მოკლე აღწერა	განმარტებითი ბარათი და საპროექტო მოცულობის ესკიზები	
3.2	საპროექტო ტერიტორიის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი და შესაძლებლობის შემთხვევაში სუფთა ფართობი ფუნქციების მიხედვით.	დაგეგმილი საპროექტო ობიექტ(ებ)ის მოთხოვნილი ფუნქციები: _ საოფისე _ კომერციული (არსებობის შემთხვევაში) და სხვა	ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის დაგეგმილი ფუნქციების სუფთა ფართობები, აღნიშნულის დადგენა შესაძლებელია კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობიდან დაგეგმილი ფუნქციების პროცენტულად გადანაწილების შემდგომ სუფთა ფართობის გამოთვლის მეთოდით (დაგეგმილი ფუნქციის, კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის 80%). წარმოდგენილი ფუნქციების საანგარიშო ფართობების რიცხვითი მნიშვნელობები უნდა შეესაბამებოდეს დაგეგმილ პროექტს ან/და ჯდებოდეს პროექტით მოთხოვნილი ფუნქციების ფართობების პროცენტული გადანაწილების პარამეტრებში.
3.3 1	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში ვიზიტორთა და თანამშრომელთა რაოდენობა	ფუნქცია: საოფისე	
4	საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (საპროგნოზო) მგზავრობები		

4.1	საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრობების საერთო რაოდენობა		
4.2	მგზავრობების მოდალური განაწილება	წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის ან/და თვალსაჩინოებისთვის დიაგრამის სახით მნიშვნელოვანია, რომ მგზავრობების მოდალური განაწილება, პირველ რიგში, დამუშავდეს დილის (8:00 - 11:00) და საღამოს (18:00 - 19:00) პიკის საათებისთვის.	მოდალური განაწილება – გადაადგილების სხვადასხვა საშუალებების წილი მგზავრობების საერთო რაოდენობაში - მანქანა, საზ. ტრანსპორტი, ქვეითი, ტაქსი. ამ მონაცემის განსაზღვრა საჭიროა, იმის დასადგენად, თუ რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილ პროექტს სამანქანო ნაკადებზე; ასევე საზ. ტრანსპორტის მიწოდების დასაგეგმად და საქვეითე ინფრასტრუქტურის მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის განაშენიანებას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო შედეგები, საჭიროა ღონისძიებების დაგეგმვა, მოდალურ განაწილებაში სამანქანო გადაადგილების წილის შემცირების მიზნით. საპროგნოზო მგზავრობების მოდალური განაწილების დადგენა უნდა მოხდეს თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მაკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია. თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
4.3	მგზავრობების სივრცითი განაწილება	წარმოდგენილ იქნას რუკის ან ცხრილის სახით	ამ მონაცემით განისაზღვრება, რომელ გზებზე და კვანძებზე იქნება ზეგავლენა; საზ. ტრანსპორტის რომელ მიმართულებაზე/ბაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. საპროგნოზო მგზავრობების სივრცითი განაწილების დადგენა უნდა მოხდეს შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მაკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია. თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
8	კვლევის შედეგები და რეკომენდაციები		
8.1	შედეგები და რეკომენდაციები	ტექსტური ნაწილი: მომზადებული კვლევის ზოგადი მიმოხილვა, გამოვლენილი შეფერხებები და ნაკლოვანებები, რეკომენდაციები შესაბამის საკითხებზე მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით	ზეგავლენის შეფასების საფუძველზე, განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების საზ. ტრანსპორტით უზრუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში ინდივიდუალური ტრანსპორტის მოხმარების წილის შესამცირებლად.
9	გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები		
9.1	გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები	ტექსტური ნაწილი	კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევისა და ანალიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.
10	ზოგადი მითითებები		

10.1	შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს 2(ორი) ძირითადი ფაილის სახით: სატრანსპორტო კვლევა აკინძული ".pdf" ფაილის სახით და ზემოთ მოთხოვნილი სამუშაო მასალა ".zip" ან ".rar" არქივის სახით
10.2	სატრანსპორტო კვლევის თავფურცელზე მითითებულ იქნას კვლევის შესრულების თარიღი
10.3	სატრანსპორტო კვლევა წარმოდგენილ იქნას სარჩევთან ერთად ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გათვალისწინებით და დაინომროს გვერდები
10.4	შემოთავაზებული მაგალითები, რომელთა ნახვა მხოლის საშუალებით არის შესაძლებელი და განთავსებულია "განმარტება/ რეკომენდაცია" სვეტში. სანიმუშო ხასიათისაა და შესაძლოა არ ასახავდეს ზუსტ რეალობას



საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი გ. ააკაძის II განაშენიანების მიმდებარედ
(ს.კ. 01.10.13.016.164)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.
(ღობის მონტაჟი-დემონტაჟი)

თარიღი: 2023 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. "ნს სტუდიო"

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75
შეასრულა: ნიკა სიდამონიძე
ტელ: 598-77-88-48
შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84


საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

1.26 -4ც	ციმციმა - 2ც
3.10 - 1ც	
3.24 - 2ც	
8.2.1 - 1ც	

პირობითი აღნიშვნები

- ქვეითთა მოძრაობის მიმართულება
- სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
- ღობეს
- სამშენებლო ღობე
- მეგრონეზე 1 ადამიანი

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS



წარმოდგენილ სქემაზე სრულად არის დატანილი არსებული ხე-მცენარეები, სამშენებლო ღობე არ უშლის ხელს ხე-მცენარეებს, თვალსაჩინოებისთვის იხილეთ ფოტოები.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი გ. ააააძის II გასასვლელის მიმდებარედ
(ს.კ. 01.10.13.016.164)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.
(მშენებლობის პერიოდი)

თარიღი: 2023 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. "ნს სტუდიო"

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ნიკა სიდამონიძე
ტელ: 598-77-88-48

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84


საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

ცომციმა - 2ც

პირობითი აღნიშვნები



SMART TRANSPORTATION SOLUTIONS



საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი ბ. საკაკაძის II გასასვლელის მიმდებარედ (ს.კ. 01.10.13.016.164) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

თარიღი: 2023 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შ.პ.ს. "ნს სტუდიო"


შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ნიკა სიდამონიძე
ტელ: 598-77-88-48
შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

2.3 - 1ც
5.7.1 - 1ც
5.19.1 - 2ც
5.19.2 - 2ც

პირობითი აღნიშვნები



შენიშვნა:
პანდუსის პარამეტრები განისაზღვრება 41-ე დაღგენილების ქვეთავი 406 -ის მიხედვით.

STS SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

ქ. თბილისში, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.10.13.016.164) ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება



ქ. თბილისში, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.10.13.016.164) ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება

შემსრულებელი:

შპს „STS“

ნ. არჩუაძე

ზ. ბერაძე



სარჩევი

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები 6

საკვლევი არეალი 6

არსებული სიტუაციის მიმოხილვა 7

ქვეითთა მოძრაობა 7

საზოგადოებრივი ტრანსპორტი სივრცითი დაფარვა 10

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა 11


გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება 14

გენერირებული ნაკადები 15

გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი 20

მიზიდული ნაკადები 21

გამოყენებული ლიტერატურა 26



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01230933758**
თარიღი: **03/04/2023**

მოქალაქე ლაშა ნაგანავას

ბატონო ლაშა,

2023 წლის 29 მარტის N 19/012308827797-16 განცხადების პასუხად, რომლითაც შეეხება ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N8-ის მიმდებარედ (საკ: 01.10.10.023.069), გარდაბნის გზატკეცილი N42-ის მიმდებარედ (საკ: 01.19.32.001.132), ვაჟა-ფშაველას გამზირი N29-ში (საკ: 01.10.15.007.123) და გიორგი საკაძის II ჩასასვლელი N19-ში (საკ: 01.10.13.016.164) მდებარე მიწის ნაკვეთებზე არქიტექტურული პროექტების შეთანხმებისათვის სატრანსპორტო კელეტის არსებობის განსაზღვრის მოთხოვნას, გაცნობებთ:

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებარე ობიექტებზე ზედამხედველობის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას წარმოსადგენია:

- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა
- ტრანსპორტზე მეგაელების შეფასება.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა შეთანხმდეს **სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა** და **სსიპ ეროვნული პოლიციასთან**. საკელეროში შეთანხმების შემდეგ სქემა უნდა შეთანხმდეს საავარიო პოლიციასთან. ამის შემდეგ, შეთანხმებული სქემა უნდა აიტვირთოს სსიპ დოკუმენტაციასთან ერთად არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე.


იმისათვის, რომ სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემასთან დაკავშირებით დაადებინოს პოზიცია, საჭიროა განაცხადი აიტვირთოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით, პორტალზე **www.letters.ms.gov.ge** შესაბამის ნომენკლატურაში. გაცნობებთ, რომ **2021 წლის 1-ლი აგვისტოდან სააგენტო განიხილავს მხოლოდ პორტალის საშუალებით დაფიქსირებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების განაცხადს.**

ამ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მოთხოვნა პირობები.

ამ შემთხვევაში, თუ განსახილველი მიწის ნაკვეთთან მისასვლელი პოტენციური გზის მონაკვეთი მოიცავს სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების ტერიტორიას, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების მესაკუთრეთა თანხმობა.

ამ შემთხვევაში, თუ პოტენციურ გზაზე ხვდება არსებული ხე-მცენარეები, წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანხმობა ქონის მოჭრა-ახალის დაკანონებაზე.

განმცხადებლის მიერ შესათანხმებლად წარმოდგენილ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მიდა ტეგმარეებში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული უნდა იყოს **2.5 მეტრი** სიგანის ტროტუარები.



Scale 1:1,909
Coordinate System
WGS 1984 UTM Zone 38N
EPSG: 32638

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მიზანია დადგინდეს ქ. თბილისში, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.10.13.016.164) კომერციული ფართის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზანშეწონილობა საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით.

საკვლევი არეალი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ი.გაგარინის #7-ში (ს/კ 01.10.13.016.164). მისი ფართობი შეადგენს 2764 კვ.მ.-ს.




ილუსტრაცია # 1

არსებული სიტუაციის მიმოხილვა


ქვეითთა მოძრაობა

ქვეითთა მოძრაობის შესწავლისას განვიხილავთ საპროექტო ტერიტორიიდან გ.სააკაძის მოედანზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებებამდე მათ გადაადგილებას.




ილუსტრაცია # 2

საქვეითე ინფრასტრუქტურის კუთხით პრობლემები გვხვდება საკვლევი არეალის ნაწილზე. როგორც საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციის რუკაზეა გამოსახული, (ილუსტრაცია # 3) საპროექტო ტერიტორიიდან ზურაბ ჟვანიას მოედნისკენ ტროტუარის არადამკმაყოფილებელია.





ილუსტრაცია # 3


ბარიერების ფოტოფიქსაცია




საზოგადოებრივი ტრანსპორტი სივრცითი დაფარვა





შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა



ილუსტრაცია # 4

წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი მდებარეობს გიორგი საკაძის მეორე გასასვლელში #19 (საკადასტრო კოდი: 01.10.13.016.164). საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ნაკვეთის ფართობი შეადგენს 2,764.00 მ2. მისი სიგრძე არ არემატება 75 მეტრს ხოლო სიგანე 40 მეტრს. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ცენტრალურ არეალს, რომელიც უკვე საკმაოდაა განვითარებული. აქ გვხვდება შენობა ნაგებობები როგორც საჯარო (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია) საცხოვრებელი (მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი ზონები), კომერციული (უშუალო სიახლოვეს არსებული სხვადასხვა საოფისე და კომერციული ობიექტები), სასწავლო (ტექნიკური უნივერსიტეტი) ასევე სხვა ფუნქციებით. წარმოდგენილ არეალში მრავლადაა საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი სივრცეები, კეთილმოწყობილი სკვერები, პარკები, სპორტული მოედნები და სხვა. ასევე ტერიტორიის სიახლოვეს მრავლადაა კერძო და სახელმწიფო სკოლები, საბავშვო ბაღები. საოფისე შენობას ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება საზოგადოებრივი ტერიტორია (ფასადი: 11-1), სამხრეთ-აღმოსავლეთით მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.10.13.016.073) და მასზე განთავსებული საოფისე შენობა „ატრიუმი“, (ფასადი: H-A). სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება საზოგადოებრივი ტერიტორია (ფასადი: 1-11). ჩრდილო-დსაავლეთით ნაწილობრივ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობით (საკადასტრო კოდი: 01.10.13.016.062) და საზოგადოებრივი ტერიტორია, (ფასადი: A-H). შენობის აბსოლუტური ±0.00 ნიშნული ზღვის დონიდან 405.50 მეტრის ტოლია.


პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობის განთავსება. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები: დაგეგმვის მიზანს წარმოადგენს მოცემულ ტერიტორიაზე საოფისე შენობის მშენებლობა, რომელიც მოცემული არეალის განვითარების შესაბამისი იქნება. არსებულ სივრცეში, მომიჯნავედ უკვე არსებული ბიზნეს-ცენტრი დომინირებს თავისი მასიური ფორმით და ფასადის ხის დეკორატიული ელემენტით, რომელიც კონტრასტულია შენობის მუქი ფერის ალუმინის კარ-ფანჯარასთან და შენობის კონსტრუქციის ბეტონის ფაქტურასთან. ახლო არეალში ასევე გვხვდება კომერციული ობიექტები დატვირთული, რთული ფორმებით. დაგეგმვის ამოცანაა რთულ განაშენიანებაში ისეთი ობიექტის გაჩენა, რომელიც არ დაამძიმებს გარემოს და მოერგება სამეზობლოს კონტექსტს. სართულების მასის ცვლილება და ფასადზე გამოყენებულ ტერაკოტას ელემენტები შესაძლებელს გახდის მასიური კონსტრუქცია შემსუბუქდეს. პროექტის შინაარსობრივი აღწერა: შენობა წარმოადგენს IVკლასის კარკასულ ნაგებობას, მიწის ზედა 6 და მიწის ქვეშა 2 სართულით. პირველიდან მეხუთე სართულის ჩათვლით შენობის ცენტრში მოეწყობა ატრიუმი, რომელიც განათდება სახურავიდან. შენობაში დაგეგმარებულია ორი კიბის უჯრედი და ორი ლიფტი, რომლებიც ატრიუმის ცენტრს იკავებს. დაგეგმვის მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის ლოგიკური განვითარება, არსებულ ურბანულ ქსოვილში ახალი ობიექტის გაჩენა, რომელიც არ შევა კომფლიქტში გარემოსთან. სართულების აღწერა: -2 სართულზე, საპროექტო ნიშნულით -6.35 განთავსდება 46 ავტოსადგომი აქედან ერთი სადგომი შ.შ.მ.პ. ავტომობილისთვის. -1 სართულზე, საპროექტო ნიშნულით -3.30, განთავსდება ავტოსადგომი 31 ავტომობილისთვის (ერთი შ.შ.მ.პ. ავტომობილის და მიკროავტობუსის სადგომით), ტექნიკური ოთახები, დამხმარე ოთახი წყლის რეზერვუარის და ტუმბოს განსათავსებლად ავტოსაშხეფი სისტემებისთვის. მიწისპირეა სართულზე (ნიშნულით ±0.00) განთავსდება ჰოლი, ოფისები, ხანძრის მართვის ცენტრი, მიმღები, კაფეტერიები, სასაწყობე სივრცე, სველი წერტილები და საგენერატორო. პირველი სართულიდან (+3.45 საპროექტო ნიშნული), მეხუთე სართულის ჩათვლით (+17.05 საპროექტო ნიშნული) განთავსდება ოფისები (თითო სართულზე 10 ოფისი). პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა: შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც კარკასული ნაგებობა. მისი საძირკველი შეადგენს გაძლიერებული რკინა-ბეტონის ფილას. მიწისქვეშა ორ სართულზე მონოლითურ სვეტებზე დაყრდნობილი რკინაბეტონის სართულშუა ფილები გაძლიერებულია რიგელების სისტემით. მიწისპირა სართულიოდან 05 სართულის ჩათვლით კონსტრუქციას წარმოადგენს კოლონებზე დაყრდნობილი სართულშია მონოლითური ფილები. სახურავი წარმოადგენს ბრტყელ მონოლითურ ფილას, რომელზეც მოეწყობა მწვანე საფარი. სართულებზე შემავსებლად გამოყენებული იქნება მსუბუქი ბლოკი და თაბაშირ-მუყაოს ტიხრები. შენობის H-A ფასადი იქნება ყრუ, 03 სართულიდან 05 სართულის ჩათვლით ვიტრაჟის ალუმინის სტრუქტურაზე მოეწყობა ორმაგი კომპოზიტური პანელი. მიწისპირა სართულსა და 03, 04 და 05 სართულებზე საფასადე სისტემა მოეწყობა ალუმინის სტრუქტურაზე, ორმაგი მინაპაკეტით. 01 და 02 სართულზე საფასადე სისტემა ინტეგრირებული ფანჯრებით და ფასადზე ნბკ ტერაკოტას ფილებით, რომელიც მთელს პერიმეტრზე განთავსდება, (6x10 განიკვეთის ფილა, 15სმ. ინტერვალით). 03 სართულზე გაჩნედება ტერასა, რომელზეც განლაგდება ქვით მოპირკეთებული კოლონადა მთელი შენობის პერიმეტრზე, +10.25 ნიშნულიდან

სახურავის ქვედა კანტამდე, ნიშნულით +20.05. შენბის ენერგოეფექტურობისთვის ფასადებზე, სახურავზე და ±0.00 სართულის იატაკის ფილის ქვემოთ მოეწყობა თბოიზოლაციის შრეები, ყველა სტანდარტის დაცვით. მიწისპირა სართულზე განთავსდება გენერატორი, შენობის დროებითი ენერგომომარაგებისათვის

დასახელება	რაოდენობა	განზომილება
მიწის ნაკვეთის ფართობი	**2764**	მ²
საოფისე ფართობი	**8307.44**	მ²
ავტოსადგომის ფართობი	**3033.63**	მ²

ცხრილი N 1. ფართების განაწილება

გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება



ილუსტრაცია # 5

გადაადგილებების სივრცითი და მათემატიკური ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა სატრანსპორტო ნაკადების განაწილების რუკა სამიზნე მაკრო ზონების მიხედვით, რომელიც მთელ ქალაქზე განზოგადდება არსებული სატრანსპორტო ნაკადების გათვალისწინებით.


კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან გამოყვანილი კოეფიციენტების მიხედვით მოხდა ჩვენს მიერ დათვლილი სატრანსპორტო ნაკადების პროპორციული გადანაწილება იმ კვანძებზეც, რომლების ანალიზიც მოთხოვნილია დავალების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

გენერირებული ნაკადები

დასახელება	რაოდენობა
გამოკითხული შინამეურნეობა	121
გამოკითხული ადამიანები	354
ყველა სახის გადაადგილება	892
გამოკითხულ შინამეურნეობათა მფლობელობაში არსებული მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები	92
ავტომობილიზაციის კოეფიციენტი მაკრო ზონისტვის	0.76
გადაადგილებები	
ავტომობილის მძღოლი	221
ავტომობილის მგზავრი	92
ტაქსით	38
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	368
ქვეითი	166
სხვა გადაადგილება	7

ცხრილი N 2


იმის გასარკვევად, თუ რა სახის ტრანსპორტით გადაადგილება ჭარბობს აღნიშნული ზონიდან, მოხდა მათი მოდალური განაწილება სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით:



ილუსტრაცია # 6


აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხდა მოტორიზებული კერძო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების ანალიზი გეოსაინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, რათა მომხდარიყო მათი სივრცული აღქმა/განაწილება.

საკვლევი ზონიდან ყველა მიმართულებით კერძო ტრანსპორტით გადაადგილებების რიცხვი შეადგენს 351-ს, რაც მთლიანი გადაადგილებების 39%-ა. შემდგომ ილუსტრაციაში მოცემულია საკვლევი ზონის შიგნით(N54) ზონის შიგნით არსებული გადაადგილებების მოდალური განაწილება.




ილუსტრაცია # 7

რუკაზე გამოსახულია ავტომობილით გადაადგილებების სივრცითი განაწილება რაოდენობის მიხედვით სამიზნე ზონებში. უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილებით გადაადგილების სრული რაოდენობის 6.0% ხორციელდება თვითონ საკვლევი მაკრო ზონის შიგნით. საკვლევი ზონის შიგნით ასევე პოპულარულია ფეხით სიარულიც(72%).




ილუსტრაცია # 8

შემდგომ ეტაპზე მოხდა საკვლევი ზონიდან გენერირებული გადაადგილებების კვლევა მოტივის მიხედვით. ილუსტრაციაზე მოცემულია გადანაწილების პროცენტული მაჩვენებლები გადაადგილების მოტივის მიხედვით:



ილუსტრაცია # 9



ცხრილი N 3

გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია – საზოგადოებრივი ტრანსპორტი



ილუსტრაცია # 10

რუკაზე გამოსახულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებების ინტენსივობა ფერების გრადაციით.

შემდგომ ცხრილში მოცემულია გენერირებული ადამიანების რაოდენობების ანგარიშები ფართების ტიპების მიხედვით:

	ფართი	კოეფიციენტი[1]	ადამიანების რაოდენობა	კოეფიციენტი[2]	გადაადგილებების სრული რაოდენობა
საოფისე	8307.44	9.3	893	2	1787


ცხრილი N 4 მიზიდული გადაადგილებები (შინამეურნეობების კვლევა)

საცხოვრებელ ფართზე გამოყვანილი სავარაუდო მაცხოვრებლების რაოდენობიდან(242) შეგვიძლია ვიანგარიშოთ დღიური სავარაუდო გადაადგილებების რაოდენობა:

[1] კოეფიციენტი აღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება N 41-დან (2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი, დაკავებულობა)

[2] ადამიანების გამოთვლილი რაოდენობის მიერ შესრულებული სრული დღიური გადაადგილებების კოეფიციენტი (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016))

შინამეურნეობების მობილობის კვლევის ანალიზისას ვარკვევთ დილის პიკის საათში შესრულებულ გადაადგილებების მოდალურ განაწილებას:




ილუსტრაცია # 11

	გენერირებული გადაადგილება დილის პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	893	0.46	413
ქვეითი	893	0.09	77
ავტომობილის მგზავრი	893	0.09	77
ავტომობილის მძღოლი	893	0.31	279
ტაქსის მგზავრი	893	0.05	48
სხვა	893	0.00	0

ცხრილი N 5 საღამოს პიკის საათში გენერირებული ნაკადები


მიზიდული ნაკადები

საკვლევ მიკროზონებში მიზიდული ნაკადების შემთხვევაში გადაადგილებების რაოდენობა ყველა სხვა ზონიდან შეადგენს 892- ს.




ილუსტრაცია # 12


საკვლევ ზონაში მიზიდული გადაადგილებები (საზოგადოებრივი ტრანსპორტით)



ილუსტრაცია # 13



ილუსტრაცია # 14



ილუსტრაცია # 15

	მიზიდული გადაადგილება საღამოს პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	893	0.44	390
ქვეითი	893	0.11	97
ავტომობილის მგზავრი	893	0.11	97
ავტომობილისმძღოლი	893	0.31	276
სხვა	893	0.00	0

ცხრილი N 6 საოფისე ფართზე დილის პიკის საათში მიზიდული ნაკადები

გამოყენებული ლიტერატურა

- თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია, დეკემბერი 2015 ჟან-მანუელ ჟილი - ინდივიდუალური კონსლულტანტი
- შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016)